ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-0323291130-03
თარიღი: 18.10.2023 17:32
ვადა: 20.11.2023

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01232912719 განცხადების თარიღი: 18.10.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

---

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

---

## მოთხოვნის ტექსტი

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად საკრებულოს დადგენილების პროექტების წარდგენის თაობაზე.

---

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-0323291130-03
18.10.2023 : 17:32
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

**განკარგულება - N 23.1574.1703**
**18 / ოქტომბერი / 2023 წ.**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 75-ე მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტისა და 79-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

**დანართი**

***<u>პროექტი</u>***

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება № -----**

**ქ. თბილისი** **--- 2023 წელი**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 79-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების თანდართული წესი.
2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 დეკემბრიდან.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

**დანართი**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს წესი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევის წესს, მასზე დაწესებული საფასურის (შემდგომში – საფასური) განაკვეთებსა და გადახდის წესსა და პირობებს.

2. მომსახურება, რომელიც არ რეგულირდება ამ წესით და მისი განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს სააგენტოს ვალდებულებას, ხორციელდება უსასყიდლოდ.

**მუხლი 2. საფასურის ცნება**

საფასური არის სააგენტოს მიერ გაწეული დაჩქარებული მომსახურებისთვის ამ წესით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი.

**მუხლი 3. საფასურის დაწესება და მისი ოდენობის განსაზღვრა**

1. საფასური წესდება და მისი ოდენობა განისაზღვრება ამ წესით.

2. ამ წესით დადგენილი საფასური მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს (მათ შორის: გადასახადებს).

3. საჯარო დაწესებულებები, გარდა მათი დაფუძნებული იურიდიული პირებისა, თავისუფლდებიან ამ წესით დაწესებული საფასურის გადახდისგან.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით შესაძლებელია ფიზიკური, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციების გათავისუფლება ამ წესით დაწესებული საფასურის გადახდისგან.

**მუხლი 4. დაჩქარებული მომსახურება**

1. დაჩქარებული მომსახურება ამ წესის მიზნებისთვის გულისხმობს სააგენტოს ქმედებას, კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა.

2. სააგენტო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე სააგენტო მომსახურებას აწარმოებს დაჩქარებული წესით, ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ვადებში.

4. თუ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად ან/და საქმის სირთულის გამო აუცილებელია ამ წესით განსაზღვრული დაჩქარებული მომსახურების ვადაზე მეტი, სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას დაჩქარებული მომსახურების განხორციელებაზე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი ვადებით.

**მუხლი 5. დაჩქარებული მომსახურების გაწევის ვადები და საფასურის განაკვეთები**

1. განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების განხილვა:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:

ა.ა)10 დღეში - 5000 ლარი;

ა.ბ) 30 დღეში - 3000 ლარი;

ა.გ) 3 თვეში - უფასო.

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით:

ბ.ა) 10 დღეში - 10000 ლარი;

ბ.ბ) 30 დღეში - 6000 ლარი;

ბ.გ) 3 თვეში - უფასო.

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:

გ.ა) 10 დღეში - 20000 ლარი;

გ.ბ) 30 დღეში - 12000 ლარი;

გ.გ) 3 თვეში - უფასო.

2. განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვა:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:

ა.ა) 10 დღეში - 7500 ლარი;

ა.ბ) 30 დღეში - 5000 ლარი;

ა.გ) 3 თვეში - უფასო.

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით:

ბ.ა) 10 დღეში - 15000 ლარი;

ბ.ბ) 30 დღეში - 10000 ლარი;

ბ.გ) 3 თვეში - უფასო.

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:

გ.ა) 10 დღეში - 30000 ლარი;

გ.ბ) 30 დღეში - 20000 ლარი;

გ.გ) 3 თვეში - უფასო;

3. განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალის განსაზღვრა:

ა) 5 დღეში - 1000 ლარი;

ბ) 10 დღეში - 500 ლარი;

გ) ერთ თვეში - უფასო.

4. მიწის ნაკვეთის გამიჯვნაზე, გაერთიანებაზე ან სერვიტუტის დადგენაზე გადაწყვეტილების მიღება:

ა) 3 დღეში - 300 ლარი;

ბ) 10 დღეში - 150 ლარი;

გ) ერთ თვეში - უფასო.

5. საგზაო მოძრაობის ორგანიზების მუდმივი სქემის მომზადება ან/და შეთანხმება:

ა) 3 დღეში - 1000 ლარი;
ბ) 10 დღეში - 500 ლარი;
გ) ერთ თვეში - უფასო.
6. საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მომზადება ან/და შეთანხმება:
ა) 12 საათამდე დროით:
ა.ა) ერთ დღეში - 300 ლარი;
ა.ბ) 5 დღეში - 150 ლარი;
ა.გ) 10 დღეში - 100 ლარი;
ა.დ) ერთ თვეში - უფასო.
ბ) ერთი კვირით (7 კალენდარული დღით):
ბ.ა) ერთ დღეში - 500 ლარი;
ბ.ბ) 5 დღეში - 300 ლარი;
ბ.გ) 10 დღეში - 150 ლარი;
ბ.დ) ერთ თვეში - უფასო.
გ) ერთ თვით:
გ.ა) ერთ დღეში - 700 ლარი;
გ.ბ) 5 დღეში - 500 ლარი;
გ.გ) 10 დღეში - 300 ლარი;
გ.დ) ერთ თვეში - უფასო.

7. თუ დაინტერესებული პირი სააგენტოს არ წარუდგენს საქმის გადასაწყვეტად აუცილებელ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ განმცხადებელი სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში არ წარმოადგენს დამატებით დოკუმენტაციას ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საკითხის განუხილველად დატოვების შესახებ.

**მუხლი 6. დაჩქარებული მომსახურების ვადის გამოთვლა**

1. ამ წესით დადგენილ ვადებში არ იანგარიშება კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები.

2. ამ წესით დაწესებული ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლისთანავე. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. აღნიშნული არ ვრცელდება უქმე ან დასვენების დღეს რეგისტრირებულ განცხადებებზე, რომელთა რეგისტრაციის თარიღად ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

3. სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლის მიერ დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, დაჩქარებული მომსახურების ვადაში ჩათვალოს წარმოების დაწყებიდან გასული ვადა.

**მუხლი 7. საფასურის გადახდის წესი და პირობები**

1. სააგენტოს დაჩქარებული მომსახურებით მოსარგებლე პირები ვალდებული არიან გადაიხადონ ამ წესით დაწესებული საფასური, გარდა ამ წესის მე–3 მუხლის მე–3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საფასური გადაიხდება წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევამდე, უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

**მუხლი 8. დაჩქარებული მომსახურების გაწევისთვის გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და ზიანის ანაზღაურება**

1. თუ დაჩქარებული მომსახურების გაწევის საფასური გადახდილია ამ წესით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და ამ წესით დადგენილ განაკვეთს შორის.

2. დაჩქარებული მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საფასური მთლიანად ბრუნდება, თუ:

ა) სააგენტო კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარს აცხადებს დაჩქარებული მომსახურების განხორციელებაზე;

ბ) დაინტერესებული პირი დაჩქარებული მომსახურების დაწყებამდე უარს აცხადებს მომსახურებაზე;

გ) სააგენტომ დაჩქარებული მომსახურება არ განახორციელა ამ წესით დადგენილ ვადებში.

3. ამ წესის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ, განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განმცხადებელს გადახდილი საფასური უკან არ დაუბრუნდება.

4. დაჩქარებული მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნება ხორციელდება გადამხდელის განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა ერთოდეს გადახდილი თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთება და თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:**

წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება და მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევის წესი, საფასურის განაკვეთები და მათი გადახდის პირობები. ამ წესით დადგენილი საფასური მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს (მათ შორის: გადასახადებს).

წინამდებარე პროექტის მიხედვით საფასურის გადასახადისგან თავისუფლდებიან საჯარო დაწესებულებები, გარდა მათი დაფუძნებული იურიდიული პირებისა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით საფასურის გადასახადისაგან შესაძლებელია გათავისუფლდნენ ფიზიკური, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციები.

პროექტით დგინდება სააგენტოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში დაჩქარებული მომსახურების კონკრეტული ვადები და საფასურის განაკვეთები, რომელიც შესაძლოა გაიზარდოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად ან/და საქმის სირთულის გამო, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს. მომსახურეობისათვის ანგარიშსწორება ხდება წინასწარ, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით. საფასური ირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

პროექტი ადგენს აგრეთვე დაჩქარებული მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საფასურის დაბრუნების წესს.

პროექტის თანახმად, სააგენტო დაინტერესებულ პირს, საჭირო დოკუმენტაციის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, შეუსრულებლობის შემთხვევაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საკითხის განუხილველად დატოვების შესახებ, ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს გადახდილი საფასური უკან არ უბრუნდება.

**ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური გაანგარიშება:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:**

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

**ე) პროექტის ავტორი:**

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ვ) პროექტის წარმდგენი:**

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

**განკარგულება - N 23.1580.1693**
**18 / ოქტომბერი / 2023 წ.**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 75–ე მუხლის „ბ.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასიალაიას.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N _____

2023 წლის ___ ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/09/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016900) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დადგენილების:

1. **პირველ მუხლს:**

**ა) პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:**

„ნ) მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურება.“.

**ბ) მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:**

„მ) მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესი (დანართი N13).“.

2. დადგენილებას, დანართი N12-ის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი №13.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 თებერვლიდან.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

**დანართი**

**მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობების განსაზღვრის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში, დაინტერესებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისათვის პერსონალური კონსულტანტის მიერ საკონსულტაციო მომსახურების გაწევის ფორმებსა და პირობებს, ასევე პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის საფასურის ანაზღაურების ოდენობებს.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ წესში გამოყენებული ტერმინები წესის მიზნებისათვის განიმარტება შემდეგნაირად:

**ა) პერსონალური კონსულტანტი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ თანამშრომელი;

**ბ) დაინტერესებული პირი** - ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი;

**გ) ელექტრონული პორტალი (consultant.tbilisi.gov.ge)** - დაინტერესებული პირის მიერ პერსონალური კონსულტანტის მომსახურების მიღების თაობაზე ონლაინწარდგენის მექანიზმი, რომლის საშუალებით დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, ელექტრონულად შეიტანოს განაცხადი სააგენტოში პერსონალური კონსულტანტის მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებით;

**დ) ობიექტი** - დაინტერესებული პირის მიერ, რეგისტრირებულ განაცხადში წარმოდგენილი მიწის ნაკვეთ(ებ)ი/არეალი, რაზეც მას სურს მიიღოს პერსონალური კონსულტანტის მომსახურება;

**ე) პერსონალური კონსულტანტის მომსახურება (მომსახურება)** - დაინტერესებული პირისათვის, მის მიერ ელექტრონული პორტალის მეშვეობით მითითებულ ობიექტზე, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესზე შესაბამისი განმარტებების ან/და კონსულტაციის მიწოდება ამ წესის შესაბამისად;

**ვ) საფასური** - პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის ამ წესით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი, რომელიც მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს (მათ შორის: გადასახადებს);

**ზ) უფლებამოსილი სამსახური** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული ორგანო - რაიონული გამგეობა ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ჩართულია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში;

**თ) სააგენტო** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“.

**მუხლი 3. განცხადების წარდგენა**

1. დაინტერესებული პირი პერსონალური კონსულტანტის მომსახურების მიღების მიზნით, სააგენტოში განაცხადს წარადგენს ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

2. განაცხადის წარდგენის მიზნით, დაინტერესებული პირი უნდა დარეგისტრირდეს ელექტრონულ პორტალზე consultant.tbilisi.gov.ge.

3. დაინტერესებული პირის მიერ, პერსონალური კონსულტანტის მომსახურების მიღების მიზნით განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით და თითოეული ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

4. განაცხადში მითითებული უნდა იყოს:

ა) დაინტერესებული პირის, ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) დაინტერესებული პირის საკონტაქტო სატელეფონო ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

გ) ობიექტის მისამართი ან/და საკადასტრო კოდი ან/და არეალი, რომლის თაობაზეც პირი გამოთქვამს დაინტერესებას ისარგებლოს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებით;

დ) პერსონალური კონსულტანტის მომსახურების შინაარსი და ფარგლები (რასთან დაკავშირებით სურს დაინტერესებულ პირს პერსონალური კონსულტანტის მომსახურება.

5. დაინტერესებულ პირს შეუძლია ელექტრონულ პორტალზე განთავსებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერაქტიული რუკის მეშვეობით მონიშნოს მის დაინტერესებაში არსებული ობიექტი.

6. განაცხადი არ განიხილება და არ მიეცემა შემდგომი მსვლელობა, თუ არ იქნება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია შევსებული/წარდგენილი და ასევე არ იქნება დაინტერესებული პირის თანხმობა ამ წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე.

**მუხლი 4. მომსახურების მიღება**

1. დაინტერესებულ პირს, განაცხადის რეგისტრაციისთანავე გამოეყოფა პერსონალური კონსულტანტი.

2. განაცხადის რეგისტრაციიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში პერსონალური კონსულტანტი უკავშირდება დაინტერესებულ პირს და:

ა) უდასტურებს ობიექტზე მომსახურების გაწევის შესაძლებლობას, ან

ბ) საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს ობიექტის დაზუსტებას.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაინტერესებული პირის მიერ არ განხორციელდა ობიექტის დაზუსტება, პერსონალური კონსულტანტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.

4. დაინტერესებული პირის მიერ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ობიექტის დაზუსტების შემთხვევაში, ობიექტის დადასტურება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. მომსახურების მიღება ხორციელდება მხოლოდ სააგენტოს კუთვნილი სატელეფონო საშუალებით. სატელეფონო საუბარი მომსახურების მიღებაზე, დაინტერესებული პირის თანხმობით, იწერება.

6. მომსახურების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 3 (სამი) თვით.

7. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, ელექტრონული პორტალის მეშვეობით წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია, მოახდინოს შესაბამისი საფასურის გადახდა და დამატებით მოითხოვოს მომსახურების მიღება შესაბამისი ვადით.

8. დაინტერესებული პირი არ არის შეზღუდული მომსახურების მიღების რაოდენობაზე ან მომსახურების ვად(ებ)ის გაგრძელებაზე.

9. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სააგენტოს თავიდანვე მიმართოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე მეტი ვადით მომსახურების მიღების მიზნით.

10. დაინტერესებულ პირს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მომსახურების მიღება.

**მუხლი 5. პერსონალური კონსულტანტის მომსახურება**

1. პერსონალური კონსულტანტის მომსახურება მოიცავს:

ა) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავებისა და დამტკიცებისათვის ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ბ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის დამტკიცების ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში, კანონმდებლობით დადგენილი ვადების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოებისათვის, კოორდინაციის პროცესში ხელშეწყობას;

გ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის განხილვის ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების დროს, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენიშვნის/ხარვეზის/მოთხოვნის განმარტებას.

2. მომსახურების გაწევის პროცესში ახლად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოების არსებობის შემთხვევაში, პერსონალური კონსულტანტი უფლებამოსილია თავად მიაწოდოს დაინტერესებულ პირს ეს ინფორმაცია.

**მუხლი 6. პერსონალური კონსულტანტის უფლება-მოვალეობანი, მისი ანაზღაურება**

1. პერსონალური კონსულტანტი ახორციელებს მომსახურებას ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პერსონალური კონსულტანტი არ შეიძლება ერთდროულად ეწეოდეს 10-ზე მეტი ობიექტის მომსახურებას.

3. პერსონალურ კონსულტანტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს დაინტერესებული პირის მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. პერსონალური კონსულტანტი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მომსახურება გაუწიოს გონივრულ ვადებში და არ დაუშვას დროის ხელოვნურად გახანგრძლივება.

5. პერსონალური კონსულტანტი იღებს შრომის ანაზღაურებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის

გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოიცავდეს ასევე დამატებით შრომის ანაზღაურების მიცემას თითოეულ ობიექტზე გაწეული მომსახურებისათვის.

**მუხლი 7. საფასურის ოდენობა**

1. საფასურის ოდენობა პერსონალური კონსულტანტის 3 (სამ) თვიანი მომსახურებისათვის შეადგენს:

ა) 6000 (ექვსი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი არ აღემატება 1 ჰექტარს;

ბ) 12000 (თორმეტი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი მეტია 1 ჰექტარზე, მაგრამ არ აღემატება 5 ჰექტარს;

გ) 30000 (ოცდაათი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი მეტია 5 ჰექტარზე.

2. საფასური გადაიხდება ერთიანად (სამი თვის) და გადახდილ უნდა იქნეს მომსახურების დაწყებამდე.

3. საფასური გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

**მუხლი 8. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და ზიანის ანაზღაურება**

1. თუ საფასური გადახდილია ამ წესით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და ამ წესით დადგენილ განაკვეთს შორის.

2. გადახდილი საფასური მთლიანად ბრუნდება, თუ სააგენტო კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარს აცხადებს მომსახურების განხორციელებაზე.

3. ამ წესის მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად დაინტერესებული პირის მიერ თავისი ინიციატივით მომსახურების მიღების შეწყვეტის ან ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის დამტკიცების ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში უფლებამოსილი სამსახურის მიერ მიღებული ნებისმიერი შინაარსის გადაწყვეტილების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს გადახდილი საფასური უკან არ უბრუნდება.

4. მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საფასურის დაბრუნება ხორციელდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა ერთოდეს გადახდილი თანხის დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთება და თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი**

**ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

წინამდებარე პროექტით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში.

ცვლილების თანახმად, აიპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მომსახურებებს ემატება ახალი მომსახურება - მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურება და მტკიცდება ამავე მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესი (შემდგომში - წესი).

წესი განსაზღვრავს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში, დაინტერესებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისათვის პერსონალური კონსულტანტის მიერ საკონსულტაციო მომსახურების გაწევის ფორმებსა და პირობებს, ასევე პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის საფასურის ანაზღაურების ოდენობებს.

დაინტერესებულ პირს (ფიზიკური ან იურიდიული პირი) შესაძლებლობა ექნება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ელ. გვერდზე (პორტალზე) განაცხადის გაკეთებით, ისარგებლოს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებით (რაც გულისხმობს განმარტებების ან/და კონსულტაციის მიწოდებას) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით და თითოეული ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

საფასურის ოდენობა პერსონალური კონსულტანტის 3 (სამ) თვიანი მომსახურებისათვის შეადგენს:

- 6000 (ექვსი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი არ აღემატება 1 ჰექტარს;
- 12000 (თორმეტი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი მეტია 1 ჰექტარზე, მაგრამ არ აღემატება 5 ჰექტარს;
- 30000 (ოცდაათი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი მეტია 5 ჰექტარზე.

საფასური გადაიხდება ერთიანად (სამი თვის) და გადახდილ უნდა იქნეს მომსახურების დაწყებამდე, უნაღდო ანგარიშწორებით.

**ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**
დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:**
სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

**ე) პროექტის ავტორი:**
პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ვ) პროექტის წარმდგენი:**
პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

წერილის ნომერი: **01-01232912719**
თარიღი: **18/10/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს;

ბ) ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 30 ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

**დანართი**

***<u>პროექტი</u>***

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება № -----**

**ქ. თბილისი** **--- 2023 წელი**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 79-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების თანდართული წესი.
2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 დეკემბრიდან.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

**დანართი**

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესი

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს წესი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევის წესს, მასზე დაწესებული საფასურის (შემდგომში – საფასური) განაკვეთებსა და გადახდის წესსა და პირობებს.

2. მომსახურება, რომელიც არ რეგულირდება ამ წესით და მისი განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს სააგენტოს ვალდებულებას, ხორციელდება უსასყიდლოდ.

**მუხლი 2. საფასურის ცნება**

საფასური არის სააგენტოს მიერ გაწეული დაჩქარებული მომსახურებისთვის ამ წესით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი.

**მუხლი 3. საფასურის დაწესება და მისი ოდენობის განსაზღვრა**

1. საფასური წესდება და მისი ოდენობა განისაზღვრება ამ წესით.

2. ამ წესით დადგენილი საფასური მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს (მათ შორის: გადასახადებს).

3. საჯარო დაწესებულებები, გარდა მათი დაფუძნებული იურიდიული პირებისა, თავისუფლდებიან ამ წესით დაწესებული საფასურის გადახდისგან.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით შესაძლებელია ფიზიკური, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციების გათავისუფლება ამ წესით დაწესებული საფასურის გადახდისგან.

**მუხლი 4. დაჩქარებული მომსახურება**

1. დაჩქარებული მომსახურება ამ წესის მიზნებისთვის გულისხმობს სააგენტოს ქმედებას, კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა.

2. სააგენტო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე სააგენტო მომსახურებას აწარმოებს დაჩქარებული წესით, ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ვადებში.

4. თუ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად ან/და საქმის სირთულის გამო აუცილებელია ამ წესით განსაზღვრული დაჩქარებული მომსახურების ვადაზე მეტი, სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას დაჩქარებული მომსახურების განხორციელებაზე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი ვადებით.

**მუხლი 5. დაჩქარებული მომსახურების გაწევის ვადები და საფასურის განაკვეთები**

1. განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების განხილვა:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:

ა.ა)10 დღეში - 5000 ლარი;

ა.ბ) 30 დღეში - 3000 ლარი;

ა.გ) 3 თვეში - უფასო.

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით:

ბ.ა) 10 დღეში - 10000 ლარი;

ბ.ბ) 30 დღეში - 6000 ლარი;

ბ.გ) 3 თვეში - უფასო.

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:

გ.ა) 10 დღეში - 20000 ლარი;

გ.ბ) 30 დღეში - 12000 ლარი;

გ.გ) 3 თვეში - უფასო.

2. განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვა:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე:

ა.ა) 10 დღეში - 7500 ლარი;

ა.ბ) 30 დღეში - 5000 ლარი;

ა.გ) 3 თვეში - უფასო.

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით:

ბ.ა) 10 დღეში - 15000 ლარი;

ბ.ბ) 30 დღეში - 10000 ლარი;

ბ.გ) 3 თვეში - უფასო.

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე:

გ.ა) 10 დღეში - 30000 ლარი;

გ.ბ) 30 დღეში - 20000 ლარი;

გ.გ) 3 თვეში - უფასო;

3. განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალის განსაზღვრა:

ა) 5 დღეში - 1000 ლარი;

ბ) 10 დღეში - 500 ლარი;

გ) ერთ თვეში - უფასო.

4. მიწის ნაკვეთის გამიჯვნაზე, გაერთიანებაზე ან სერვიტუტის დადგენაზე გადაწყვეტილების მიღება:

ა) 3 დღეში - 300 ლარი;

ბ) 10 დღეში - 150 ლარი;

გ) ერთ თვეში - უფასო.

5. საგზაო მოძრაობის ორგანიზების მუდმივი სქემის მომზადება ან/და შეთანხმება:

ა) 3 დღეში - 1000 ლარი;
ბ) 10 დღეში - 500 ლარი;
გ) ერთ თვეში - უფასო.
6. საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მომზადება ან/და შეთანხმება:
ა) 12 საათამდე დროით:
ა.ა) ერთ დღეში - 300 ლარი;
ა.ბ) 5 დღეში - 150 ლარი;
ა.გ) 10 დღეში - 100 ლარი;
ა.დ) ერთ თვეში - უფასო.
ბ) ერთი კვირით (7 კალენდარული დღით):
ბ.ა) ერთ დღეში - 500 ლარი;
ბ.ბ) 5 დღეში - 300 ლარი;
ბ.გ) 10 დღეში - 150 ლარი;
ბ.დ) ერთ თვეში - უფასო.
გ) ერთ თვით:
გ.ა) ერთ დღეში - 700 ლარი;
გ.ბ) 5 დღეში - 500 ლარი;
გ.გ) 10 დღეში - 300 ლარი;
გ.დ) ერთ თვეში - უფასო.

7. თუ დაინტერესებული პირი სააგენტოს არ წარუდგენს საქმის გადასაწყვეტად აუცილებელ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ განმცხადებელი სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში არ წარმოადგენს დამატებით დოკუმენტაციას ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საკითხის განუხილველად დატოვების შესახებ.

**მუხლი 6. დაჩქარებული მომსახურების ვადის გამოთვლა**

1. ამ წესით დადგენილ ვადებში არ იანგარიშება კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები.

2. ამ წესით დაწესებული ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლისთანავე. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. აღნიშნული არ ვრცელდება უქმე ან დასვენების დღეს რეგისტრირებულ განცხადებებზე, რომელთა რეგისტრაციის თარიღად ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

3. სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლის მიერ დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, დაჩქარებული მომსახურების ვადაში ჩათვალოს წარმოების დაწყებიდან გასული ვადა.

**მუხლი 7. საფასურის გადახდის წესი და პირობები**

1. სააგენტოს დაჩქარებული მომსახურებით მოსარგებლე პირები ვალდებული არიან გადაიხადონ ამ წესით დაწესებული საფასური, გარდა ამ წესის მე–3 მუხლის მე–3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საფასური გადაიხდება წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევამდე, უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

**მუხლი 8. დაჩქარებული მომსახურების გაწევისთვის გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და ზიანის ანაზღაურება**

1. თუ დაჩქარებული მომსახურების გაწევის საფასური გადახდილია ამ წესით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და ამ წესით დადგენილ განაკვეთს შორის.

2. დაჩქარებული მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საფასური მთლიანად ბრუნდება, თუ:

ა) სააგენტო კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარს აცხადებს დაჩქარებული მომსახურების განხორციელებაზე;

ბ) დაინტერესებული პირი დაჩქარებული მომსახურების დაწყებამდე უარს აცხადებს მომსახურებაზე;

გ) სააგენტომ დაჩქარებული მომსახურება არ განახორციელა ამ წესით დადგენილ ვადებში.

3. ამ წესის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ, განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განმცხადებელს გადახდილი საფასური უკან არ დაუბრუნდება.

4. დაჩქარებული მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნება ხორციელდება გადამხდელის განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა ერთოდეს გადახდილი თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთება და თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:**

წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება და მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევის წესი, საფასურის განაკვეთები და მათი გადახდის პირობები. ამ წესით დადგენილი საფასური მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს (მათ შორის: გადასახადებს).

წინამდებარე პროექტის მიხედვით საფასურის გადასახადისგან თავისუფლდებიან საჯარო დაწესებულებები, გარდა მათი დაფუძნებული იურიდიული პირებისა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით საფასურის გადასახადისაგან შესაძლებელია გათავისუფლდნენ ფიზიკური, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციები.

პროექტით დგინდება სააგენტოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში დაჩქარებული მომსახურების კონკრეტული ვადები და საფასურის განაკვეთები, რომელიც შესაძლოა გაიზარდოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად ან/და საქმის სირთულის გამო, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს. მომსახურეობისათვის ანგარიშსწორება ხდება წინასწარ, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით. საფასური ირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

პროექტი ადგენს აგრეთვე დაჩქარებული მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საფასურის დაბრუნების წესს.

პროექტის თანახმად, სააგენტო დაინტერესებულ პირს, საჭირო დოკუმენტაციის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, შეუსრულებლობის შემთხვევაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საკითხის განუხილველად დატოვების შესახებ, ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს გადახდილი საფასური უკან არ უბრუნდება.

**ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური გაანგარიშება:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:**

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

**ე) პროექტის ავტორი:**

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ვ) პროექტის წარმდგენი:**

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N _____

2023 წლის ___ ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/09/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016900) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დადგენილების:

1. **პირველ მუხლს:**

**ა) პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:**

„ნ) მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურება.“.

**ბ) მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:**

„მ) მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესი (დანართი N13).“.

**2.** დადგენილებას, დანართი N12-ის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი №13.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 თებერვლიდან.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

**დანართი**

**მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობების განსაზღვრის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში, დაინტერესებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისათვის პერსონალური კონსულტანტის მიერ საკონსულტაციო მომსახურების გაწევის ფორმებსა და პირობებს, ასევე პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის საფასურის ანაზღაურების ოდენობებს.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ წესში გამოყენებული ტერმინები წესის მიზნებისათვის განიმარტება შემდეგნაირად:

**ა) პერსონალური კონსულტანტი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ თანამშრომელი;

**ბ) დაინტერესებული პირი** - ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი;

**გ) ელექტრონული პორტალი (consultant.tbilisi.gov.ge)** - დაინტერესებული პირის მიერ პერსონალური კონსულტანტის მომსახურების მიღების თაობაზე ონლაინწარდგენის მექანიზმი, რომლის საშუალებით დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, ელექტრონულად შეიტანოს განაცხადი სააგენტოში პერსონალური კონსულტანტის მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებით;

**დ) ობიექტი** - დაინტერესებული პირის მიერ, რეგისტრირებულ განაცხადში წარმოდგენილი მიწის ნაკვეთ(ებ)ი/არეალი, რაზეც მას სურს მიიღოს პერსონალური კონსულტანტის მომსახურება;

**ე) პერსონალური კონსულტანტის მომსახურება (მომსახურება)** - დაინტერესებული პირისათვის, მის მიერ ელექტრონული პორტალის მეშვეობით მითითებულ ობიექტზე, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესზე შესაბამისი განმარტებების ან/და კონსულტაციის მიწოდება ამ წესის შესაბამისად;

**ვ) საფასური** - პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის ამ წესით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი, რომელიც მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს (მათ შორის: გადასახადებს);

**ზ) უფლებამოსილი სამსახური** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული ორგანო - რაიონული გამგეობა ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ჩართულია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში;

**თ) სააგენტო** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“.

**მუხლი 3. განცხადების წარდგენა**

1. დაინტერესებული პირი პერსონალური კონსულტანტის მომსახურების მიღების მიზნით, სააგენტოში განაცხადს წარადგენს ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

2. განაცხადის წარდგენის მიზნით, დაინტერესებული პირი უნდა დარეგისტრირდეს ელექტრონულ პორტალზე consultant.tbilisi.gov.ge.

3. დაინტერესებული პირის მიერ, პერსონალური კონსულტანტის მომსახურების მიღების მიზნით განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით და თითოეული ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

4. განაცხადში მითითებული უნდა იყოს:

ა) დაინტერესებული პირის, ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) დაინტერესებული პირის საკონტაქტო სატელეფონო ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

გ) ობიექტის მისამართი ან/და საკადასტრო კოდი ან/და არეალი, რომლის თაობაზეც პირი გამოთქვამს დაინტერესებას ისარგებლოს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებით;

დ) პერსონალური კონსულტანტის მომსახურების შინაარსი და ფარგლები (რასთან დაკავშირებით სურს დაინტერესებულ პირს პერსონალური კონსულტანტის მომსახურება.

5. დაინტერესებულ პირს შეუძლია ელექტრონულ პორტალზე განთავსებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერაქტიული რუკის მეშვეობით მონიშნოს მის დაინტერესებაში არსებული ობიექტი.

6. განაცხადი არ განიხილება და არ მიეცემა შემდგომი მსვლელობა, თუ არ იქნება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია შევსებული/წარდგენილი და ასევე არ იქნება დაინტერესებული პირის თანხმობა ამ წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე.

**მუხლი 4. მომსახურების მიღება**

1. დაინტერესებულ პირს, განაცხადის რეგისტრაციისთანავე გამოეყოფა პერსონალური კონსულტანტი.

2. განაცხადის რეგისტრაციიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში პერსონალური კონსულტანტი უკავშირდება დაინტერესებულ პირს და:

ა) უდასტურებს ობიექტზე მომსახურების გაწევის შესაძლებლობას, ან

ბ) საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს ობიექტის დაზუსტებას.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაინტერესებული პირის მიერ არ განხორციელდა ობიექტის დაზუსტება, პერსონალური კონსულტანტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.

4. დაინტერესებული პირის მიერ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ობიექტის დაზუსტების შემთხვევაში, ობიექტის დადასტურება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. მომსახურების მიღება ხორციელდება მხოლოდ სააგენტოს კუთვნილი სატელეფონო საშუალებით. სატელეფონო საუბარი მომსახურების მიღებაზე, დაინტერესებული პირის თანხმობით, იწერება.

6. მომსახურების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 3 (სამი) თვით.

7. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, ელექტრონული პორტალის მეშვეობით წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია, მოახდინოს შესაბამისი საფასურის გადახდა და დამატებით მოითხოვოს მომსახურების მიღება შესაბამისი ვადით.

8. დაინტერესებული პირი არ არის შეზღუდული მომსახურების მიღების რაოდენობაზე ან მომსახურების ვად(ებ)ის გაგრძელებაზე.

9. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სააგენტოს თავიდანვე მიმართოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე მეტი ვადით მომსახურების მიღების მიზნით.

10. დაინტერესებულ პირს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მომსახურების მიღება.

**მუხლი 5. პერსონალური კონსულტანტის მომსახურება**

1. პერსონალური კონსულტანტის მომსახურება მოიცავს:

ა) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავებისა და დამტკიცებისათვის ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ბ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის დამტკიცების ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში, კანონმდებლობით დადგენილი ვადების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოებისათვის, კოორდინაციის პროცესში ხელშეწყობას;

გ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის განხილვის ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების დროს, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენიშვნის/ხარვეზის/მოთხოვნის განმარტებას.

2. მომსახურების გაწევის პროცესში ახლად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოების არსებობის შემთხვევაში, პერსონალური კონსულტანტი უფლებამოსილია თავად მიაწოდოს დაინტერესებულ პირს ეს ინფორმაცია.

**მუხლი 6. პერსონალური კონსულტანტის უფლება-მოვალეობანი, მისი ანაზღაურება**

1. პერსონალური კონსულტანტი ახორციელებს მომსახურებას ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პერსონალური კონსულტანტი არ შეიძლება ერთდროულად ეწეოდეს 10-ზე მეტი ობიექტის მომსახურებას.

3. პერსონალურ კონსულტანტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს დაინტერესებული პირის მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. პერსონალური კონსულტანტი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მომსახურება გაუწიოს გონივრულ ვადებში და არ დაუშვას დროის ხელოვნურად გახანგრძლივება.

5. პერსონალური კონსულტანტი იღებს შრომის ანაზღაურებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის

გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოიცავდეს ასევე დამატებით შრომის ანაზღაურების მიცემას თითოეულ ობიექტზე გაწეული მომსახურებისათვის.

**მუხლი 7. საფასურის ოდენობა**

1. საფასურის ოდენობა პერსონალური კონსულტანტის 3 (სამ) თვიანი მომსახურებისათვის შეადგენს:

ა) 6000 (ექვსი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი არ აღემატება 1 ჰექტარს;

ბ) 12000 (თორმეტი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი მეტია 1 ჰექტარზე, მაგრამ არ აღემატება 5 ჰექტარს;

გ) 30000 (ოცდაათი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი მეტია 5 ჰექტარზე.

2. საფასური გადაიხდება ერთიანად (სამი თვის) და გადახდილ უნდა იქნეს მომსახურების დაწყებამდე.

3. საფასური გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

**მუხლი 8. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და ზიანის ანაზღაურება**

1. თუ საფასური გადახდილია ამ წესით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და ამ წესით დადგენილ განაკვეთს შორის.

2. გადახდილი საფასური მთლიანად ბრუნდება, თუ სააგენტო კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარს აცხადებს მომსახურების განხორციელებაზე.

3. ამ წესის მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად დაინტერესებული პირის მიერ თავისი ინიციატივით მომსახურების მიღების შეწყვეტის ან ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის დამტკიცების ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში უფლებამოსილი სამსახურის მიერ მიღებული ნებისმიერი შინაარსის გადაწყვეტილების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს გადახდილი საფასური უკან არ უბრუნდება.

4. მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საფასურის დაბრუნება ხორციელდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა ერთოდეს გადახდილი თანხის დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთება და თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი**

**ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

წინამდებარე პროექტით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში.

ცვლილების თანახმად, ააიპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მომსახურებებს ემატება ახალი მომსახურება - მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურება და მტკიცდება ამავე მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესი (შემდგომში - წესი).

წესი განსაზღვრავს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში, დაინტერესებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისათვის პერსონალური კონსულტანტის მიერ საკონსულტაციო მომსახურების გაწევის ფორმებსა და პირობებს, ასევე პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის საფასურის ანაზღაურების ოდენობებს.

დაინტერესებულ პირს (ფიზიკური ან იურიდიული პირი) შესაძლებლობა ექნება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ელ. გვერდზე (პორტალზე) განაცხადის გაკეთებით, ისარგებლოს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებით (რაც გულისხმობს განმარტებების ან/და კონსულტაციის მიწოდებას) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შემუშავების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით და თითოეული ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

საფასურის ოდენობა პერსონალური კონსულტანტის 3 (სამ) თვიანი მომსახურებისათვის შეადგენს:

- 6000 (ექვსი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი არ აღემატება 1 ჰექტარს;
- 12000 (თორმეტი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი მეტია 1 ჰექტარზე, მაგრამ არ აღემატება 5 ჰექტარს;
- 30000 (ოცდაათი ათას) ლარს, თუ ობიექტის ფართობი მეტია 5 ჰექტარზე.

საფასური გადაიხდება ერთიანად (სამი თვის) და გადახდილ უნდა იქნეს მომსახურების დაწყებამდე, უნაღდო ანგარიშწორებით.

**ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**
დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:**
სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

**ე) პროექტის ავტორი:**
პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ვ) პროექტის წარმდგენი:**
პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.